საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ოთარ კაჭკაჭაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ინგა ბერიძე - კოლეგიის წევრი

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ა. მ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 20.01.2022

საჩივრის რეგისტრაცის ნომერი: №004/22

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ა. ჩ.-ის მიმართ /სიითი№/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ა. ჩ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას 2022 წლის 20 იანვარს საჩივრით მომართა ა. მ.-მა და მოითხოვა ა. ჩ.-ის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. თავისი პრეტენზიები საჩივრის ავტორმა დაადასტურა საპროცესო კოლეგიის 2022 წლის 17 თებერვლისა და განხილვის კოლეგიის 2022 წლის 23 ივნისის სხდომაზე.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2020 წლის თებერვლის ბოლოს ყადაღა დაედო მის ანგარიშებს და აქედან შეიტყო, რომ მის მიმართ მიმდინარეობდა იძულებითი აღსრულება. ამის შემდეგ დაუკავშირდა აღმასრულებელს, ჩაიბარა მისი წინადადება და შეიტყო რომ აღმასრულებლისათვის მიუმართავს ზ. ა.-ს, სააღსრულებო ფურცლით და მის მიმართ დაიწყო

აღსრულების პროცედურა. კრედიტორი ითხოვდა შპს „ახალი ვარკეთილში“ მის საკუთრებაში არსებული 70% წილის დაყადაღებას. ამ საქმეზე, ახლობლის რეკომენდაციით მიმართა ადვოკატ ა. ჩ.-ს.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატს აუხსნა საქმის ვითარება და შეუთანხმდა, რომ ადვოკატი გაუწევდა საადვოკატო მომსახურებას. მათ შორის შეთანხმება შედგა ზეპირი ფორმით. ადვოკატმა ჰონორარის სახით მოითხოვა 10 000 ლარი, საიდანაც 6000 ლარი უნდა გადაეხადა წინასწარ, ხოლო 4000 ლარი საქმის მოგებით დასრულების შემდეგ. საჩივრის ავტორმა ადვოკატს მისცა 6000 ლარი.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა აუხსნა, რომ მოაგროვებდა მტკიცებულებებს და დააზუსტებდა სასამართლოში წარდგენილ სარჩელში ფაქტებს და მოთხოვნას. ადვოკატი დაპირდა, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით გამოკითხავდა მოწმეებს, მოიპოვებდა ყველა იმ დამატებით ინფორმაციას, რაც მნიშვნელოვანი იქნებოდა მისი ინტერესის დასაცავად, ჩაატარებდა ექსპერტიზებს.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა მისცა გარანტია, რომ საქმე სასამართლოში მის სასარგებლოდ დასრულდებოდა.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატს წარუდგინა მოწმედ გამოსაკითხი პირები: დ. კ და ვ. ხ.., რომლებიც მისი განმარტებით, სასამართლოს მნიშვნელოვან ინფორმაციას მიაწვდიდნენ მის საქმესთან დაკავშირებით. ადვოკატი გაესაუბრა ამ პირებს და გაიგო, რომ ზ. ა. სასესხო ურთიერთობა კი არა რეალურად უძრავ ქონებასთან დაკავშირებული შეთანხმება არსებობდა. მომჩივანი განმარტავს, რომ გარდა ამ ორი მოწმისა, მის საქმეში კიდევ არსებობდა სხვა მოწმეებიც, რომელთა დაკითხვასთან დაკავშირებითაც ადვოკატმა განუმარტა, რომ პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, ამ საკითხზე მუშაობა ადრე იყო, რადგან ამავე მიზეზით სასამართლო პროცესი გადაიდო. მომჩივანის განმარტებით, პროცესის ჩანიშვნის შემდეგ ადვოკატს ისევ დაუკავშირდა მოწმეთა გამოკითხვაზე და ადვოკატმა უპასუხა, რომ არ ჩარეულიყო მის პროფესიულ საქმიანობაში, რადგან ჰქონდა გეგმა, რომლის საშუალებითაც პროცესს მოიგებდა, მოწმეთა მონაწილეობის გარეშეც.

1.7 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატს სასამართლოსათვის არანაირი შუამდგომლობა არ წარუდგენია, არც მოთხოვნა დაუზუსტებია და ფაქტიურად, სასამართლო სხდომებზე დატოვა დაუცველი და თავად მოუწია საკუთარი ინტერესის დაცვა. მოსამზადებელ სხდომაზე ადვოკატმა სასამართლოს წარუდგინა მხოლოდ და მხოლოდ მერიისაგან მიღებული დოკუმენტაცია, ადვოკატს არ დაუზუსტებია სარჩელი და არც მოწმეთა გამოკითხვის შესახებ დაუყენებია შუამდგომლობა, ადვოკატი დაეთანხმა მოსამზადებელი სხდომა გადაზრდილიყო მთავარ სხდომაში ისე, რომ მას წარდგენილი არ ჰქონდა მტკიცებულებები, მათ შორის არ ჰყავდა გამოკითხული მოწმეები.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, იმის გამო, რომ ადვოკატი მოემსახურა არაკვალიფიციურად, არაჯეროვნად და მოექცა არაკეთილსინდისიერად, დავა წააგო.

1.9 ადვოკატმა შესთავაზა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გაესაჩივრებინათ სააპელაციო წესით, რაზეც საჩივრის ავტორმა უარი განუცხადა და მოითხოვა

გადახდილი ჰონორარის უკან დაბრუნება. ადვოკატი დაჰპირდა საადვოკატო მომსახურების თანხის უკან დაბრუნებას, თუმცა არ დაუბრუნებია და მასთან კონტაქტზე აღარ გამოდის.

2. საპროცესო ეტაპზე საჩივრის ავტორის მოწმის დ.კ-ის ახსნა-განმარტება:

2.1 2022 წლის 24 თებერვლის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორის მოწმემ დ. კ-მა განმარტა, რომ დაახლოებით 2 წლის მანძილზე ის და ა. მ. იყვნენ პარტნიორები. ა. მ.-ს დასჭირდა ადვოკატის მომსახურება. ადვოკატთან ერთად მივიდნენ თანხის გადასაცემად და ა. მ.-მა ადვოკატს გადასცა მომსახურების თანხა - 6000 ლარი, ხელზე, მ-----ის ქუჩაზე. თანხის გადაცემის დროს მოწმე იმყოფებოდა მანქანაში. რამდენიმე დღის შემდეგ მივიდნენ ადვოკატთან და ადვოკატი მათ გაესაუბრა. შეხვედრისას ადვოკატმა განუმარტათ, რომ საქმე არასოდეს წაუგია.

2.2 მოწმის პოზიციით, ადვოკატმა მისგან და ვ. ხ..-საგან, როგორც ა. მ.-ის მოწმეებისაგან, მიიღო ინფორმაცია. ადვოკატი შეხვედრისას აღნიშნავდა, რომ საქმე მტკიცებულებებით უნდა გაემაგრებინათ. ადვოკატთან შეხვედრა გაგრძელდა დაახლოებით ერთი საათით. ადვოკატთან შედგა მხოლოდ ზეპირი გასაუბრება.

2.3 მოწმის პოზიციით, ადვოკატი აიმედებდათ, რომ საქმეს 100%-ით მოიგებდნენ. მოწმე განმარტავს, რომ მას ეგონა სასამართლოში გამოკითხავდნენ. ამას დაემთხვა პანდემიის პერიოდიც, სასამართლო სხდომაც გადაიდო.

2.4 მოწმის პოზიციით, ადვოკატს უნდა მოემზადებინა დოკუმენტები, მოეპოვებინა მტკიცებულებები და მიემართა სასამართლოსათვის. მოწმის განმარტებით, ადვოკატი მას უნდა დაკავშირებოდა და სასამართლოს სხდომაზე გამოეკითხა მოწმის სახით, მაგრამ ის სასამართლოზე აღარ გამოუკითხავთ.

3. საპროცესო ეტაპზე საჩივრის ავტორის მოწმის ვ. ხ.-ის ახსნა-განმარტება:

3.1 2022 წლის 24 თებერვალს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორის მოწმემ ვ. ხ.-მა განმარტა, რომ მას ა. მ.-საგან აქვს ინფორმაცია, რომ სასამართლოს დავა ჰქონდა, სადაც უნდა მოხდარიყო მისი გამოკითხვაც, სხვა მოწმეებთან ერთად. ადვოკატმა ისე დაასრულა სასამართლოს სხდომები, რომ მისი და სხვა მოწმეთა გამოკითხვა არ მომხდარა.

3.2 მოწმის განმარტებით, ა. მ.-ს გაუჩნდა ეჭვი, რომ ა. ჩ შეუთანხმდა მოწინააღმდეგე მხარეს. მოწმე განმარტავს, რომ ადვოკატ ა. ჩ.-სთან თავად ერთხელ იყო მისული, სოლოლაკში. შეხვედრის დროს ადვოკატმა სადავო საქმის გარშემო დაუსვა კითხვები, გამოკითხა საქმის დეტალები. მას ჰქონდა ინფორმაცია, რომ უნდა ყოფილიყო ა. მ.-ის მოწმე სასამართლოში და ადვოკატმა სთხოვა, რომ უფრო მეტად დეტალურად გაეხსენებინა საქმის ფაქტები, თარიღები. საუბრისას, ადვოკატი ფურცელზე აკეთებდა მონიშვნებს. შეხვედრა გაგრძელდა დაახლოებით საათნახევრის განმავლობაში.

3.3 მოწმის პოზიციით, ა. მ.-ს ადვოკატი საქმის წარმატებით დასრულებას დაჰპირდა.

4. ადვოკატის პოზიცია:

4.1 საპროცესო კოლეგიის 2022 წლის 24 თებერვლის სხდომაზე ადვოკატმა ა. ჩ.-მ განმარტა, რომ ა. მ.-ის საჩივარი შეიცავს ძალიან ბევრ უზუსტობას. მომჩივანი მის მიმართ გამოხატავს უკმაყოფილებას, რადგან სასამართლოში არ დადგა სასურველი შედეგი.

4.2 ადვოკატი განმარტავს, რომ კლიენტისათვის საქმის შედეგზე გარანტია არ მიუცია.

4.3 ადვოკატი ადასტურებს, რომ მომჩივანმა გადასცა მას 6000 ლარი, ჰონორარის სახით. ხოლო საქმის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, უნდა მიეღო წარმატების ჰონორარი, დამატებით - 4000 ლარის ოდენობთ. რადგან საქმე არ დასრულდა ა. მ.-ის სასარგებლოდ, ადვოკატს წარმატების ჰონორარი არ მიუღია.

4.4 ადვოკატის განმარტებით, მხარე ესწრებოდა სასამართლოს სხდომებს. მოწმეთა წარდგენა სასამართლოში არ განხორციელდა კლიენტთან შეთანხმებით, ადვოკატის სტრატეგიიდან გამომდინარე. მოწმეებს უნდა დაედასტურებინათ მხოლოდ ის ფაქტი, რომ ა. მ.-სა და მის მოწინააღმდეგე მხარეს შორის არსებობდა ადმინისტრაციული დავები, და მათი პოზიცია იმაზე იყო დამყარებული, რომ ადამიანი, რომელიც გიჩივის და გაქვს მიმდინარე დავა, ცხადია ფულს უპროცენტოდ არ გასესხებს. თავიდან ამ ხაზით იყო აგებული საქმის წარმოების სტრატეგია. შემდეგ, მერიიდან ამოიღეს ადმინისტრაციული საჩივრები და ეს წარადგინეს სასამართლოში, მხარეთა შორის დავის არსებობის ფაქტის დასადასტურებლად, რის გამოც მოწმეების სასამართლოში წარდგენამ დაკარგა აზრი. ასევე, ფულადი ვალდებულების არსებობა-არარსებობის ფაქტი მოწმეთა ჩვენებით ვერ დასტურდება.

4.5 ადვოკატის განმარტებით, საქმის წარუმატებლად დასრულების შემდეგ, კლიენტს მასთან გაუჩნდა პრეტენზია და ითხოვდა საადვოკატო მომსახურების ჰონორარის დაბრუნებას.

4.6 ადვოკატის განმარტებით, მოსამართლეს დაეთანხმა მოსამზადებელი სხდომა გადაეზარდა მთავარ სხდომაში, მერიიდან მიღებული მტკიცებულებები, ასევე მტკიცებულებები, რაც იყო საქმისათვის საჭირო, მის მიერ სასამართლოში წარდგენილ იქნა მთავარი სხდომის დანიშვნამდე. სასამართლოს მის მიერ წარდგენილი არც ერთი მტკიცებულების მიღებაზე განუცხადებია უარი.

4.7 ადვოკატის განმარტებით, კლიენტს ზეპირად შეუთანხმდა, რადგან მათ შორის იყო ნდობა საერთო ნაცნობებიდან გამომდინარე და ასევე, კლიენტი შეყვანილი იყო მოვალეთა რეესტრში, რის გამოც მის ინტერესში არ შედიოდა საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების გაფორმება.

4.8 ადვოკატი განმარტავს, რომ სარჩელი სასამართლოში შეტანილი ჰქონდა სხვა ადვოკატს, ის კლიენტს შეუთანხმდა, რომ როდესაც სარჩელს გაეცნობოდა, თუ ჩათვლიდა, რომ სარჩელი იყო დასაზუსტებელი და შესაცვლელი, ამას გააკეთებდა. ხოლო როდესაც სარჩელს გაეცნო, მისი დაზუსტების საჭიროება ვერ დაინახა.

4.9 ადვოკატის განმარტებით, კლიენტი ყველა სასამართლოს სხდომას ესწრებოდა მასთან ერთად და შესაბამისად, ყველა საკითხზე ფლობდა ინფორმაციას.

4.10 ადვოკატი ა. ჩ. არ დაესწრო განხილვის კოლეგიის 2022 წლის 23 ივნისის სხდომას და გამოთქვა სურვილი, კოლეგიას ეხელმძღვანელა საპროცესო ეტაპზე მის მიერ წარმოდგენილი განმარტებით.

5. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

5.1 20212 წლის 24 მარტს პირველმა დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ა. ჩ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

5.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ადვოკატ ა. ჩ.-ის მიერ დარღვეულია კლიენტთან შეთანხმებით მოქმედების, კლიენტის ინფორმირების (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2, ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.2, 8.6) და კლიენტისათვის გარანტიის მიცემის დაუშვებლობის (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.3) ეთიკური ვალდებულება.

5.3 საპროცესო კოლეგიის კოლეგიის შეფასებით, რადგან მხარეთა შეთანხმებით საადვოკატო მომსახურების ფარგლები განისაზღრა I ინსტანციის სასამართლოში კლიენტის წარმომადგენლობით, ადვოკატმა სრულად განახორციელა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება - კლიენტის ინტერესების დაცვა შეთანხმებულ ფარგლებში. შესაბამისად, ეთიკის კომისიის გადაწყეტილებით, გამოუმუშავებელი ჰონორარის უკან დაბრუნების ვალდებულების დარღვევის ნაწილში (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15) ადვოკატ ა. ჩ.-ის მიმართ არ აღიძრა დისციპლინური დევნა.

II სამოტივაციო ნაწილი

6. საქმის ფაქტები:

6.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტები, რომლებიც უდავოა მხარეთა შორის:

6.1.1 ადვოკატი ა. ჩ. ჩაერთო ა. მ.-ის სამოქალაქო საქმეში, სასამართლოში სხვა ადვოკატის მიერ სარჩელის შეტანის შემდეგ. პირველი ინსტანციის სასამართლოში ადვოკატ ა. ჩ.-ის მონაწილეობით საქმეზე შედეგი დადგა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა პოზიციები;

6.1.2 სასამართლოს სხდომაზე არ გამოკითხულან ა. მ.-ის მოწმეები.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა პოზიციები;

7. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარის განმარტება და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ა. ჩ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

8. სამართლებრივი შეფასება:

8.1 განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ ა. ჩ.-ის მიერ დარღვეულია კლიენტის ინფორმირებისა და საპროცესო მოქმედებების კლიენტთან შეთანხმების ეთიკური ვალდებულება.

8.1.1 ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის ... მითითებით (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.2).

8.1.2 ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია, ... რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2).

8.1.3 ადვოკატმა კლიენტს, მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის ... შესახებ (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6).

8.2 „ადვოკატი ვალდებულია იქონიოს სისტემატური კომუნიკაცია კლიენტთან საქმის წარმოების პროცესში, მასთან წინასწარი შეთანხმებისამებრ დასახოს დაცვის სტრატეგია და განახორციელოს შესაბამისი სამართლებრივი მოქმედებები“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე N125/18).

8.3 „ადვოკატი უნდა უკავშირდებოდეს კლიენტს საქმესთან დაკავშირებით ყოველი ახალი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ასევე, კლიენტს არ უნდა უზღუდავდეს მასთან დაკავშირების შესაძლებლობას“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 28.01.2011 წლის გადაწყვეტილება, საქმე #074/10).

8.4 „კლიენტის ინფორმირების ვალდებულება უშუალო კავშირშია კლიენტის ინტერესებთან, რადგან კლიენტი წარმოადგენს საქმის შედეგით დაინტერესებულ პირს და მნიშვნელოვანია, რომ ის ფლობდეს ინფორმაციას მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 23.09.2010 წლის გადაწყვეტილება, საქმე N066/10).

8.5 კოლეგია განმარტავს, რომ მართალია ადვოკატი, თავისი ცოდნიდან გამომდინარე, განსაზღვრავს საქმის წარმართვის სტრატეგის, მაგრამ მისი მოქმედებები, რომელიც არსებითად უკავშირდება კლიენტის საქმის შედეგს, მათ შორის დაცვის სტრატეგია უნდა იყოს შეთანხმებული კლიენტთან. იმ შემთხვევაში, როდესაც კლიენტი ადვოკატისაგან ითხოვს კონკრეტული მოქმედებების განხორციელებას (მაგ. მოწმეთა გამოკითხვას), რომელიც მისი შეფასებით საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას დაადასტურებენ, ადვოკატი ვალდებულია შეასრულოს ეს მითითება, თუ ის კანონიერია. იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატის შეფასებით, კლიენტის მითითების შესაბამისად მოქმედება კლიენტისათვის ზიანის მომტანი იქნება, ადვოკატმა ეს უნდა განუმარტოს კლიენტს და მასთან შეთანხმებით იმოქმედოს. თუ კლიენტი მაინც ითხოვს ამგვარი კანონიერი, თუმცა კლიენტის სამართლებრივი პოზიციისათვის „შესაძლო ზიანის მომტანი“ მოქმედებების განხორციელებას, ადვოკატს აქვს ორი გზა: (1) იმოქმედოს კლიენტის კანონიერი მითითებების შესაბამისად, ან (2) შეწყვიტოს კლიენტის ინტერესების დაცვა პროფესიული სტანდარტების შესაბამისად.

8.6 მოცემულ შემთხვევაში, კლიენტის მითითებები - გამოეკითხა ორი მოწმე, რომელიც კონკრეტულ ფაქტს დაადასტურებდა, იყო კანონიერი. უფრო მეტიც, ადვოკატი განმარტავს, რომ თავად არ ჩათვალა ამ მოწმეთა გამოკითხვა მიზანშეწონილად, რადგან იმავე ფაქტს სხვა კონკრეტული მტკიცებულებით (ადმინისტრაციული საქმის მასალებით) ადასტურებდა.

ეთიკის კომისია განმარტავს, რომ სასამართლოში მხარეები განსაზღვრავენ რომელი მტკიცებულებებით გაამყარონ მათი არგუმენტები. კომისიის შეფასებით, ის ფაქტი, რომ შესაძლოა არსებობდეს ერთი მტკიცებულება, არ უგულვებელყოფს სხვა მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულებას, რომელიც იმავე ფაქტს ადასტურებს. მტკიცებულებათა ერთობლიობა ბევრად უფრო ამყარებს მხარეთა არგუმენტებს. შესაბამისად, კომისია ვერ გაიზიარებს ადვოკატის არგუმენტს იმასთან დაკავშირებით, რომ სხვა მტკიცებულების წარდგენა საკმარისი იქნებოდა კონკრეტული ფაქტის დასადასტურებლად და აღარ იყო საჭირო კლიენტის მითითებების შესაბამისად მოწმეთა გამოკითხვა.

8.7 კოლეგიის შეფასებით, ადვოკატი ვალდებული იყო ემოქმედა კლიენტის კანონიერი მითითებებით და გამოეკითხა მოწმის სახით ის პირები, რომელთაც გააჩნდათ მნიშვნელოვანი ინფორმაცია კლიენტის საქმესთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის არ იზიარებდა ადვოკატის სტრატეგიას, ადვოკატს მისი მომსახურება უნდა დაესრულებინა.

8.8 კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატმა ა. ჩ.-მ დაარღვია კლიენტთან შეთანხმებით მოქმედებისა და კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების ეთიკური ვალდებულება (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2, ეთიკის კოდექსი, მუხლები 8.2, 8.6).

8.9 კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ ა. ჩ.-ის მიერ კლიენტისათვის საქმის შედეგზე გარანტიის მიცემა არ დასტურდება.

ადვოკატს უფლება არა აქვს კლიენტს მისცეს გარანტიები მისგან აღებული საქმის შედეგებთან დაკავშირებით (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.3).

8.10 „ადვოკატის პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენს, იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში ნდობის ამაღლებისა და დაფასებისათვის. ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მისგან მიღებული საქმის შედეგზე გარანტიის მიცემა ზიანს აყენებს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში დამკვიდრებულ შეხედულებებსა და ნდობას და ასევე, კლიენტს უჩენს არასწორ მოლოდინს სასამართლო გადაწყვეტილებისადმი და კლიენტის მიერ შესაძლო რისკების შეფასება რთულდება. შესაბამისად, ადვოკატის მიერ გაცემული გარანტია საფრთხეს უქმნის, როგორც საადვოკატო საქმიანობისადმი სანდოობას, ისე, მართლმსაჯულების სისტემისადმი დამოკიდებულებას“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე N077/13).

8.11 კოლეგია აღნიშნავს, რომ გარანტიის მიცემასთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი აკისრია საჩივრის ავტორს, რომელმაც დისციპლინური საქმისწარმოების საპროცესო ეტაპისათვის, თავისი პრეტენზიის დასადატურებლად კომისიას წარმოუდგინა მტკიცებულებები - მოწმეთა ჩვენებები. მომჩივანის მოწმე დ. კ განმარტავს, რომ ადვოკატმა ა. მ.-ს მისცა საქმის მოგების 100%-იანი გარანტია, ხოლო მოწმე ვ. ხ. განმარტავს, რომ ა.მ-ს ადვოკატი საქმის წარმატებით დასრულებას დაჰპირდა. აღნიშნულის საფუძველზე საპროცესო კოლეგიამ ადვოკატის მიმართ აღძრა დისციპლინური დევნა.

8.12 მტკიცებულებათა შეფასებისას განხილვის კოლეგია ყურადღებას ამახვილებს საქართველოს უზენაეს კანონზე, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 ნაწილზე, რომლის თანახმად: „დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი – უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ“.

8.13 იმის გათვალისწინებით, რომ განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება არის შემაჯამებელი გადაწყვეტილება, ეთიკის კომისია კლიენტისათვის გარანტიის მიცემას ვერ დაადგენს მხოლოდ მოწმეთა პოზიციით. შესაბამისად, ადვოკატ ა. ჩ.-ს კლიენტისათვის გარანტია არ მიუცია (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.3).

8.14 კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატ ა. ჩ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა - ადვოკატის მიერ დარღვეულია კლიენტთან შეთანხმებით მოქმედების, კლიენტის ინფორმირების (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2, ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.2, 8.6) რის გამოც მას უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

8.15 დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას, ეთიკის კომისიამ იმსჯელა ბრალის ხარისხზე და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის პროპორციულობაზე.

8.16 ადვოკატს, დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში შესაძლოა დაეკისროს დისციპლინური სახდელი (გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა) ან/და ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 34).

8.17 „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი - კონკრეტულის სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის ჩადენილი გადაცდომის სიმძიმის და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-15, 01.04.2015).

8.18 „სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-17, 22.05.2017).

8.19 ეთიკის კომისია ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, ფაქტს, რომ გადაწყვეტილების გამოტანის დროს, ადვოკატს არ აქვს შეფარდებული სხვა დისციპლინური სახდელი და ადგენს, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა იქნება ადვოკატის მიერ განხორციელებული

პროფესიული ვალდებულების დარღვევის პროპორციული დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმა.

8.20 კერძო სარეკომენდაციო ბარათი, რომლის შინაარსი კონფიდენციალურია, შეიცავს რჩევებსა და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის მომავალში თავიდან აცილების მიზნით, რომლის შინაარსი (ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულება, მუხლი 38).

8.21 კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 33-ე, 35–ე და 38–ე მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N004/22 ადვოკატ ა. ჩ.-ის მიმართ /სიითი N/ დადგინდეს დისციპლინური გადაცდომა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.
4. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ოთარ კაჭკაჭაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ინგა ბერიძე/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/